კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი, № 98 (12610) | ხუთშაბათი 25 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნიზმის მზვერავები

დღეს, მოსკოვში გაიხსნება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი

დღეს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი. ამ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად ჩვენი რესპუბლიკიდან გაემგზავრა საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავეთა ჯგუფი.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდად აფასებდა პირველ კომუნისტურ შაბათობათა მნიშვნელობას. მას ეს შაბათობანი მიაჩნდა ახლის, კომუნისტურის, ყლორტებად, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაიკვლევს გზას, დამკვიდრდება როგორც მთავარი მიმართულება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ცხოვრებაში.

დიდი ბელადის ამ გენიალურმა წინასწარხედვამ ხორცი შეისხა, და ახლა ყველა ხედავს, თუ როგორ მკვიდრდება კომუნისტური შრომა ჩვენს ყოფაცხოვრებაში.

კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მოძრაობა განასახიერებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მრავალი წლის მანძილზე შეიმუშავა სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკამ, ზრდის კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, ხელს უწყობს კომუნისტურ მორალის დანერგვას ყოფაცხოვრებაში, ახალი ადამიანის, წარსულის გადმონაშთებისაგან თავისუფალი ადამიანის ჩამოყალიბებას.

კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის წოდებისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ ბეჯითად და გულმოდგინედ გამოვნახოთ და გამოვიყენოთ ხელ ახალი და ახალი რეზერვები, რასაც საზოგადოებრივი წარმოება შეიცავს, ვიფასებდეთ სამუშაო დროის ყოველ წუთსა და წამს, მუდამ ვესწრაფოდეთ იმას, რომ უმცირესი დანახარჯებით ვაწარმოოთ ხალხისათვის საჭირო სულ უფრო მეტი საგანი, უფრო მაღალი ხარისხისა და უფრო იაფი.

ყოველდღიურად ფართოვდება ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადის, საამქროს, საწარმოს საპატიო წოდების მოპოვებისათვის. რესპუბლიკის საწარმოებში გვყავს კომუნისტური შრომის ბრიგადები და ცალკეული დამკვრელები, რომლებიც ნამდვილი მანჭათობელი შუქურები არიან კომუნიზმის მშენებლობის დიდ გზაზე. მათს რიცხვს ეკუთვნის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ი. ხაზარაძე ხელმძღვანელობს. ასეთი ბრიგადა პირველი იყო ჩვენს რესპუბლიკაში. ახლა ხაზარაძის ბრიგადას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ისინი კომპლექსურად ახორციელებენ მანქანების მოდერნიზაციას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციას და ამით აღწევენ შრომის ნაყოფიერებით პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

ჩვენი დიდი ქვეყნის საფეიქრო მრეწველობაში საქვეყნოდ ცნობილი გახდა თბილისის მაუდამქმოსავი კომბინატის მჭსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ჩიქოვანი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 1960 წელს გადაწყვიტა მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქცია გამოეშვა. გაბედულმა შემართებამ თავისი გაიტანა. პირველ წელსვე გამოშვებული პროდუქციის 99,2 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. შემდეგ წლებში ბრიგადამ მთლიანი გარდატება მოახდინა და ახლა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ეს ამბავი მალე რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. ლენინგრადის ტელმანის სახელობის საფეიქრო კომბინატიდან თბილისში ფეიქართა დელეგაცია ჩამოვიდა. ლენინგრადელებმა საკუთარი თვალით ნახეს ჩიქოვანის კომუნისტური შრომის ბრიგადის მუშაობა, დარწმუნდნენ, რომ შეიძლება მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მალე ლენინგრადელ ფეიქართა გაზეთში „კრასნი ტკაჩში“ გამოჩნდა ჩიქოვანის ბრიგადის გამოცდილების ამსახველი გვერდები. ამიერიდან ჩიქოვანის ბრიგადას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

რესპუბლიკაში გვყავს არა მარტო მრავალი საუკეთესო კომუნისტური შრომის ბრიგადა, არამედ გვყავს ამ საპატიო წოდებისათვის მებრძოლი საწარმოო კოლექტივებიც. კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოპოვების პირველი კანდიდატები არიან თბილისის ცერამიკული კომბინატი და თბილისის ჩაისგადამწონი ფაბრიკა.

ახლა მთავარი ამოცანაა უზრუნველვყოთ, რომ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გახდეს. უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, ვამრავლოთ ჩვენი ღონისძიებანი შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, რათა დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმე.

სურათზე: ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავეთა ერთი ჯგუფი, რომელიც გაემგზავრა მოსკოვში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირში მონაწილეობის მისაღებად. მარცხნიდან მარჯვნივ: წინა პლანზე — ნ. ჯავახიშვილი, ა. ჩიქოვანი, ი. გოროზია, ი. ხაზარაძე, გ. მეგრელიძე, ნ. უჯმაჯურიძე, ვ. კულუმბეგოვი, ლ. კობახიძე, ნ. საყვარელიძე; უკანა პლანზე — შ. ფირცხალავა, პ. არეკაძე, მ. არუსტამოვი, ზ. კვიციანი, ა. ქოქრაშვილი, გ. ბოკუჩავა, ნ. როდომანჩენკო.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

24 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია ორი საკითხი:

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანები სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ზუგდიდის, გორის, ზესტაფონისა და სიღნაღის საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ო. დ. გოცირიძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე ამხ. **ვ. პ. შიმანსკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. **ა. ა. ტუუიკოვი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა მუშაკები, სამრეწველო საწარმოთა, საწარმოო სამმართველოთა ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამხ. **რ. რ. დვალი,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. ს. ჯომარჯიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ე. ჭახრაკია,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. ა. სალუქვაძე,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **დ. ვ. გოგოხია,** საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ვ. გ. მამათელაშვილი,** საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ამხ. **ი. მ. ბუაჩიძე,** თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. **ვ. ა. პაპინაშვილი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **გ. ვ. ციცეშვილი,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ბ. ე. კუხიანიძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ვ. ვ. ჭავჭანიძე,** თბილისის ციროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. **ნ. ს. კიზივაძე.**

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებანი გააკეთეს: ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. კ. ქვარცხავამ,** გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. ა. ტოლიაშვილმა,** ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **პ. პ. სახვიძემ,** სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ა. ი. გონაშვილმა.**

დღეს, 25 აპრილს, პლენუმი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

სრულიად რუსეთის თათბირი

მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებზე

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

მოსკოვი, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ მონაწილენი სრულიად რუსეთის თათბირისა მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებზე. დარბაზში არიან აგრეთვე კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი, რომელიც ხვალ იხსნება. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

ა. პ. კირილენკოს მოხსენების გამო კამათში გამოვიდა სკკპ კრასნოიარსკის სამრეწველო სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ფ. გავრილოვ-პოდოლსკი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მხურვალედ მიესალმა თათბირის მონაწილეებს — რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკებს, პარტიულ მუშაკებს და უსურვა მათ ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში. ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა აგრეთვე დარბაზში მყოფ კომუნისტური შრომის დამკვრელებს — კომუნიზმისათვის მოძრაობის მედროშეებს.

თავის ვრცელ სიტყვაში, რომელიც დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, ნ. ს. ხრუშჩოვი დაწვრილებით შეეხო სამეურნეო და პარტიული მშენებლობის საკითხებს.

მოსკოვი, 24 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს დამთავრდა სრულიად რუსეთის თათბირი მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებზე, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

გულითადი მისალმეგა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ქალაქ ალჟირში ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეთ.

ლ. ი. ბრეჟნევი შსურვებს მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენლებს კვლავაც განამტკიცონ ერთობა და სოლიდარობა ხალხთა თავისუფლების და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობისათვის წმიდათა წმიდა ბრძოლაში.

მეგობრობის საღამო

24 აპრილს თბილისში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-18 წლისთავს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები

24 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კრემლში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფ. კოლერი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ ჰ. ტრეველიანი მათი თხოვნით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ელჩებს შორის გაიმართა საუბარი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე. საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

სირიის ეროვნული დღესასწაულის გამო

სირიის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — უცხოეთის ჯარების ევაკუაციის დღის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ საალ ედ-დინ ბითარს.

პრემიერ-მინისტრმა პასუხში მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის და გამოთქვა იმედი, რომ მეგობრული ურთიერთობა, რაც ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებობს, კვლავაც განვითარდება სსრ კავშირის ხალხისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხის საკეთილდღეოდ მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

ახალი ჯილდოები საპირველმაისო შეჯიბრეგაში გამარჯვეგულეგს

რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა ამიერკავკასიის მაგისტრალის ხელმძღვანელობასთან ერთად სხდომაზე შეაჯამა გაერთიანებული რკინიგზის საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის შედეგები. სხდომაზე აღინიშნა, რომ რკინიგზის კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე შეასრულა ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა და გეგმის გადაჭარბებით ასეული ათასობით ტონა სახალხო სამეურნეო ტვირთი გადაზიდა, გადაჭარბებით შეასრულა ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენისა და სატვირთო მატარებლების საშუალო წონის ნორმა, უფრო ზუსტად ასრულებს მატარებლების მოძრაობის გრაფიკს, მიაღწია შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებას.

რკინიგზების გაერთიანებამდე რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი ყოველი კვარტალის ბოლოს საუკეთესო კოლექტივს ანიჭებდა უმაღლეს ჯილდოს — გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. ახლა, რკინიგზელთა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვის მნიშვნელოვან გაზრდასთან დაკავშირებით, ყოველ კვარტალში გამარჯვებულებს მუშაობის შედეგების მიხედვით ორი ასეთი უმაღლესი ჯილდო მიენიჭებათ.

გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების პირველი მფლობელნი გახდნენ, აგრეთვე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის საელმავლო დეპოსა და ბალჯარის სადგურის კოლექტივებმა, რომლებმაც შეჯიბრებაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

შეჯიბრებაში პირველი ადგილები და ამიერკავკასიის მაგისტრალის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭა აზერბაიჯანის განყოფილების, სამტრედიის, ხაშურისა და ერევნის სადგურების, ბაქოსა და გაგრის ვოგზალების, ბაქოს საორთქლმავლო დეპოს, ხაშურის სავაგონო დეპოს, სოხუმის ენერგომომარაგების უბნის, თბილისის შენობათა და ნაგებობათა დისტანციის, ბაქოს ვაგონსარემონტო ქარხნისა და მაგისტრალის სხვა საწარმოთა კოლექტივებს. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი

ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფთან

ტოკიო, 24 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ი. ვდოვინი იუწყება: ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის ხომალდების შემდეგ, რომლებიც განლაგებული არიან იაპონიის ნავსადგურებში, საბრძოლოდ არიან გამზადებული ამერიკის ჯარები ოკინავაზე. როგორც კიოდო ცუსინის საააგენტოს კორესპონდენტი ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრიდან ქალაქ ნახადან იუწყება ლაოსში დაძაბულობის გაძლიერებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა გამოცხადდა საზღვაო ქვეითი ჯარის მე-3 კორპუსში, რომლის ნაწილები ტაილანდში გადაიყვანეს შარშან ლაოსის კრიზისის დროს. ოკინავაში განუწყვეტლივ ჩამოდიან და იქიდან მიდიან მაღალი თანამდებობის ამერიკელი სამხედრო პირები. მარტო უკანასკნელ ორ დღეში აქ ჩამოვიდნენ საზღვაო ქვეითი ჯარის სარდალი და წყნარ ოკეანეში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების სარდალი.



ახალი ხელმძღვანელი

ინდოეთის ეროვნული კონგრესის

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ახალ ხელმძღვანელად ინიშნა ბ. ბ. ბანერჯი.

ამერიკელ ჯაშუშთა ბანდა

ბონი, 24 აპრილი. (საკდესი). ბონში ბანდა ამოიღეს ამერიკელ ჯაშუშთა ბანდა, ბონის ბანკიდან ფულის ბეჭდვა-ყალბისა და ბანკნოტების ბაზარზე ინფლაციის ორგანიზაციის ბრალდებით.

ეკონომიკური საკითხები

ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე

ნიუ-დელი, 24 აპრილი. (საკდესი). ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე ინციდენტებზე ინდოეთ-ჩინეთის ეკონომიკურ საკითხ

ლენინური კურსით

კომუნისტური პარტიის XII ყრილობის 40 წლისთავის გამო

შესრულდა 40 წელი კომუნისტური პარტიის XII ყრილობის გახსნის დროიდან. იგი მიმდინარეობდა (1923 წლის 17-25 აპრილი) ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის ისტორიულად უდიდესი მნიშვნელობის მომენტში — ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პერიოდში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს იყო პირველი ყრილობა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. მაგრამ დიდი ბელადის მითითებები დაედო საფუძვლად ყრილობის მთელ მუშაობას.

ვ. ი. ლენინმა თავის უკანასკნელ ნაშრომებში: „ფურცლები დღიურიდან", „კოოპერაციის შესახებ", „როგორ მოვახდინოთ მუშგლეხობის რეორგანიზაცია", „ჩვენი რევოლუციის შესახებ", „უმჯობესია ცოტა და კარგი" შეაჯამა პარტიის მიერ გაწეული მუშაობა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლების გამოცდილების გათვალისწინებით მეცნიერულად დაამუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმა, დასახა სოციალისტური სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიის XII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის ყველა მითითება, რომლებიც მოცემული იყო მის უკანასკნელ ნაშრომებში, სტატიებსა და წერილებში. ყრილობამ განიხილა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, მრეწველობის, ეროვნული, სოფლად საგადასახადო პოლიტიკის, დარაიონებისა და სხვა საკითხები.

XII ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი წლის შედეგები, რამაც მოლიანად დაადასტურა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის ლენინური სტრატეგიული გეგმის სიბრძნე და მორსმკვრეტელობა. პარტიის XI-დან XII ყრილობამდე განვლილი ერთი წელი საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო წინსვლის თვალსაჩინო პერიოდს წარმოადგენდა. ჩვენი ქვეყანა, ძლევდა რა შინაგან სიძნელეებსა და გარეშე მტრების წინააღმდეგობას, სწრაფად იზუმბდა ჭრილობებს: მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, უმჯობესდებოდა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა.

ყრილობამ მკაცრად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ნება ესმოდა როგორც უკან დახევა სოციალისტური პოზიციებიდან, ვინც კაპიტალიზმის კაბალაში მოქცევას მოითხოვდა, ვინც იბრძოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მუშათა და გლეხთა კავშირის წინააღმდეგ. ყრილობაზე ტროცკის მოითხოვა მრეწველობის მტკიცე კონცენტრაციის გატარება, არარენტაბელური მთელი რიგი საწარმოების დახურვა; ამ წინადადებას ყრილობამ მხარი არ დაუჭირა და იგი უარყოფილ იქნა.

ასევე უარყოფილ იქნა ტროცკის მეორე ცდაც — თავს მოიხვია პარტიისათვის არასწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ. ტროცკიმ XII ყრილობისათვის შედგენილ თავის თეზისებში წამოაყენა ლოზუნგი „მძიმე მრეწველობის დიქტატურის" დამყარების შესახებ. ეს ლოზუნგი ნიშნავდა მრეწველობის განვითარებას გლეხური მეურნეობის ექსპლოატაციის გზით. ტროცკის ეს გამცემლური პოლიტიკა აშკარა დაღუპვას უქადდა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს, რაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვევდა პროლეტარიატის დიქტატურის დასუსტებას, საბჭოთა ქვეყნის დაღუპვას. ყრილობამ დაგმო ტროცკის ეს ლოზუნგი და მიიღო სავსებით სწორი გადაწყვეტილება.

ყრილობამ განიხილა მრეწველობის საკითხი და დასახა ფართო ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ყრილობამ მიღებულ რეზოლუციაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ მხოლოდ საფარიოსაკმარნო მრეწველობის ნამდვილი წარმატებით და მძიმე ინდუსტრიის — პროლეტარიატის დიქტატურის ამ ერთადერთი მტკიცე ბაზის აღდგენით, აგრეთვე ელექტროფიკაციის სამუშაოთა რეალური დამთავრების მოახლოებით არის შესაძლებელი სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონის შეცვლა ქვეყნის მთელ ეკონომიკაში. ამიტომ ყრილობამ მოუწოდა მუშათა კლასს მთელი ღონისძიებანი წარემართა მრეწველობის აღმავლობისათვის, უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობისა, „რომელიც მარტოოდენ შეიძლება გახდეს ნამდვილად სოციალისტური მშენებლობის მტკიცე საძირკველი".

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტია არის პასუხისმგებელი ქვეყნის სამეურნეო და საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანოების მუშაობისათვის, იგი უნდა განსაზღვრავდეს და ამოწმებდეს ამ მუშაობის მიმდინარეობას, ვინაიდან მარტოოდენ იგია ისტორიულად მოწოდებული იყოს მუშათა კლასის დიქტატურის ნამდვილი გამტარებელი. კიდევ უფრო ახლოს მეურნეობასთან, კიდევ უფრო მეტი ყურადღება, ხელმძღვანელობა, ძალები სამეურნეო ორგანოებს, — ასეთია პარტიის ლოზუნგი უახლოესი პერიოდისათვის, — ნათქვამია ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში.

როგორ ახლებურად უღერს ყრილობის ეს მოწოდება ახლა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, „როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას" (ვ. ი. ლენინი), ახლა, როცა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა დაძლიეს პიროვნების კულტის მავნე შედეგები, აღადგინეს მუშაობის ლენინური სტილი და თავიანთი ყურადღების ცენტრში დააყენეს ეკონომიკის, სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საკითხები.

ყრილობაზე მოხსენებით „საგადასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად" გამოვიდა მ. კალინინი. კალინინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობა რჩევას იძლეოდა, რომ გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებისა და ქვეყანაში საკონსოლიდაციოდ გადიდების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები, რომლებითაც გლეხობა იბეგრებოდა, გა-

◇

ტექნიკურ აზრს — სარბიელი!

ავტომატური მართვით...

მუზოგლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი უაღრესად საპატიო ამოცანებს უსახავენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მშრომელთ.

გადადგმულია პირველი ნაბიჯები ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ავტომატიზაციისათვის. ყურადსაღებია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კომპლექსური ავტომატიზაცია, რაც პირველია საბჭოთა კავშირის მარგანეცის მრეწველობაში და გზას უხსნის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკების ავტომატურ მართვაზე გადაყვანას.

ამ ფაბრიკაში მარგანეცის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია განხორციელდა რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის" პროექტით, წარმოებისა და ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების თანამეგობრობით. ავტომატიზებულია მადნის გამდიდრების მთელი ტექნოლოგიური პროცესი.

სადისპეტჩერო პუნქტში სამრეწველო-სატელეფონო დანადგარით ხორციელდება საპაერო-სამაგირო გზის მუშაობისა და მიმღებ ბუნკერებში მადნის ჩატვირთვის კონტროლი. კონვეიერის ლენტზე დადგმულ ლითონმძიმენელისა და დამჭერის სათანადო მოწყობილობით ხორციელდება ლენტიანი კონვეიერებისა და ელევატორების ჯაჭვის დაზიანება-გაწყვეტის კონტროლი. ავტომატიზებულია მექანიზებისათვის ზეთისა და წყლის მიწოდება, რაც ზოგავს ელეტროენერგიას.

ფაბრიკაში დაიდგა სიმძლავრის მზომი სპეციალური აპარატურა, რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა მადნის დანაკარგები, სადისპეტჩერო ფარზე მოცემულია მადნის გამდიდრების ტექნოლოგიის მნემონიური სქემა, დამონტაჟებულია მეორადი და სასიგნალო მოწყობილობა.

ფაბრიკაში დანერგილია ხმამაღლა მოლაპარაკე რადიოკავშირი, რითაც დისპეტჩერი და ფაბრიკის ხელმძღვანელობა უკავშირდებიან ყველა საკვანძო პუნქტს და მომუშავეებს აძლევენ სათანადო მითითებებს. აქვე შეუფერხებლად მუშაობს კომფორტაბელური სახალხო ლიფტი.

აღსანიშნავია, რომ სადისპეტჩერო პუნქტიდან მექანიზმების ავტომატური მართვა განხორციელებულია სამი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ნაკადით. სამართვი პულტითა და საწარმოო ტელევიზიით დისპეტჩერი ოპერატიულად ეერევა მექანიზმების მუშაობაში, არეგულირებს ფაბრიკის ნორმალური მუშაობას.

მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაციით ფაბრიკის კოლექტივი მარტო წელს მიიღებს 58.000 მანეთ დანაზოგს. ფაბრიკის კოლექტივი მადლიერების გრძნობით იხსენიებს რუსთავის ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის" ინჟინრების შ. ორჯონიკიძის, რ. ლაშხაურის, მარგანტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილების ენერგეტიკოსის მ. გორგაძის, მემონტაჟეების კოჩაჩის, რევაზიანის, დავთუღლიანის, გელაშვილის, გაბაშვილის თავდადებულ შრომას, რითაც განხორციელდა ფაბრიკის ავტომატური მართვა.

ავტომატიზებული ფაბრიკის მუშაობას უნარიანად წარმართავენ ინჟინრები ვ. საღინძაე, ი. ტყემალაძე, მექანიკოსი ა. კვიტაშვილი.

განზრახულია მექანიზმების ავტომატური მართვა მარგანეცის გამამდიდრებელ სხვა ფაბრიკებშიც დაინერგოს.

მ. აფაქიძე.
ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი ინჟინერი,
ა. ხოგუა.
მარგანტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილების უფროსი.

რაციონალიზატორი მეტალურგები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ბევრი ნიჭიერი რაციონალიზატორი ჰყავს ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს. შვიდწლეული მეხუთე წლის პირველ კვარტალში მეტალურგებმა 80 წინადადება შემოიტანეს. აქედან ჯერჯერობით 16 წინადადება დაინერგა და 34.000 მანეთი დანაზოგს იძლევა.

სილიკომარგანეცის წიდების გადაცლის მექანიზაციას ეხება ნ. ბაბუაძის, ა. რობაქიძის და გ. აბესაძის წინადადება, რომლის განხორციელებით ქარხანა წლიურად 23.000 მანეთს ზოგავს. ბ. ლაბადის, ს. ჯაფარიძის, არჩილ და ლევან ცქიტიშვილების კოლექტიური წინადადებით დაჩქარდა ღუმელის ამონაგის სამუშაოები, რითაც წლიურად 7.000 მანეთი იზოგება.

◇

კომუნისტური პარტიის XII ყრილობის 40 წლისთავის გამო

ერთიანებულიყო ერთ პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო გადასახადად, რომლის ნაწილის გადახდა ნებადართული იქნებოდა ფულადი ფორმით. გადასახადის მთავარი სიმძიმე აწვებოდა შეძლებულ გლეხობას, ზოგიერთი უღარიბესი გლეხი კი თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. ამ ღონისძიების განხორციელებამ დიდად შეუწყო ხელი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების საქმეს, პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერების საქმეს.

უაღრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის გადაწყვეტილებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ. ჯერ კიდევ პარტიის XII ყრილობის მოწვევამდე სოკოლნიკოვმა და ბუხარინმა, რომლებიც გამოხატავდნენ სპეკულანტების, ნეპმენების, კულაკების მისწრაფებებს, პარტიის წინაშე დააყენეს საკითხი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტებისაკენ იხრებოდა აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი სხვა წევრიც, მათ შორის სტალინი, ზინოვიევი, კამენევი. ვ. ი. ლენინმა თავის წერილებში სასტიკად გაილაშქრა ბუხარინისა და სოკოლნიკოვის წინააღმდეგ, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრების წინააღმდეგ, რომლებიც მერყეობდნენ ამ საკითხში. ყრილობამ სწორად ცნო ლენინური ხაზი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში და გადაჭრით დაგმო სოკოლნიკოვისა და ბუხარინის ოპორტუნისტული შეხედულებანი.

პარტიის XII ყრილობის მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ეროვნულ საკითხს. ყრილობამ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, აღნიშნა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჩაგრული ხალხები საბჭოთა კავშირში ხედავენ ეროვნული საკითხის გადაჭრისა და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის ნიმუშს.

ყრილობამ აღნიშნა ეროვნულ საკითხში ორი ანტიპარტიული გადახრა: ველიკორუსული შოვინიზმი, როგორც მთავარი საფრთხე, და ადგილობრივი ნაციონალიზმი, რომლებიც გაძლიერდნენ ნეპის პირობებში კაპიტალიზმის ნაწილობრივ გამოცოცხლებასთან დაკავშირებით. ორივე გადახრა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა კომუნიზმის საქმისათვის. ამიტომ ყრილობამ მოუწოდა პარტიას გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ველიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში განსაკუთრებით გამოცოცხლდა და გააქტიურდა ადგილობრივი ბურუჟაზიული ნაციონალიზმი ცალკეულ რესპუბლიკებში. ამის მაგალითს წარმოადგენდა ქართული ნაციონალ-უკლონიზმი (მდივანი, ოკუჯავა და სხვები).

XII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლები ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი მეთაურობდნენ, ამხილეს და განაადგურეს ნაციონალ-უკლონიზმი და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

ისტორიამ სავსებით დაადასტურა სიბრძნე ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომლის განხორციელებამ შესაძლებელი გახადა ჩვენი ქვეყნის ხალხების დარაზმვა ერთიან და ურღვევ ძმურ ოჯახად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. „საბჭოთა კავშირში, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, — განხორციელდა ყველა ეროვნების დაახლოება და უმაგალითო შეკავშირება. დამყარდა ხალთა ნამდვილი მეგობრობა, რომელიც ვერ შეარყია მეორე მსოფლიო ომის ვერავითარმა განსაცდელმა". ერთ ძმურ ოჯახად დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ბრძოლით ხელმძღვანელობით უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და ამჟამად წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო.

პარტიის XII ყრილობამ იმსჯელა სოციალისტური სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხებზე და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი მისი რეორგანიზაციის განსახორციელებლად. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინმა მთელი სიმწვავით დააყენა სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხი, ყოველმხრივ შეიმუშავა და მეცნიერულად დასაბუთა მისი პრინციპები ახალი საზოგადოების აშენების პირობებში.

ვ. ი. ლენინი, სოციალისტური მშენებლობის გეგმას, პარტიის პოლიტიკას, მის ტაქტიკასა და სტრატეგიას უკავშირებდა რა რეორგანიზებული მუშგლეხინის ამოცანებს, წერდა: „აი რაში მდგომარეობს ჩემთვის გამართლება იმ განსაკუთრებული მზრუნველობისა, იმ განსაკუთრებული უყურადღებისა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მუშგლეხინის მიმართ, უნდა ავიყვანოთ იგი განსაკუთრებულ სიმაღლეზე"... ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მუშგლეხინის რეორგანიზაციის გეგმა ერთსულოვნად მოიწონა XII ყრილობამ.

კონტროლის ასეთი სისტემა პარტიისა და სახელმწიფოს ხელში ძლავრი საშუალება იყო ბიუროკრატთა და საქმის გამჭინაურებელთა, მუქთახორათა და სახალხო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კონტროლის ლენინური სისტემა ერთხანს არსებობდა. შემდეგში, პიროვნების კულტის პირობებში იგი გაუქმებულ იქნა და შეიცვალა მასებს მოწყვეტილი ბიუროკრატიული საკონტროლო აპარატით. პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესახრულებლად ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმმა ალადგინა ჩვენს ქვეყანაში კონტროლის ლენინური პრინციპები, შექმნა ერთიანი, მუდმივმოქმედი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სისტემა.

40 წელი გავიდა პარტიის XII ყრილობიდან. ამ ხნის განმავლობაში კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლებში გადაიქცა მსოფლიოში მტკიცე, ყველაზე მოწინავეთ პარტიად, რომელის გამოცდილებას სწავლობენ და იყენებენ სახალხო დემოკრატიისა და კაპიტალიზმის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები სოციალიზმის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური გენერალური ხაზის განხორციელების შედეგად საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე. ეს პარტიისა და ხალხის საქმიანობის მთავარი შედეგია, მათი დიადი გმირობაა, რომელსაც უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხალხი კვლავაც გაბედულად მიჰყავს წინ, ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ.

მ. ჯინჭველაშვილი.

◇

ყურადღება, ქარხანაში მოსწავლეა!

სკოლა და ცხოვრება

ქარხნის უზარმაზარ მინისთაღებიან ერთ-ერთ კორპუსში, საამქროს შესასვლელთან ყურადღებას იპყრობს დიდი წარწერა წითელ ფანაზეზე: — სკოლის მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საამქრო. შესასვლელის მარცხენა და მარჯვენა მხარეს საკლასო ოთახებია. კარებთან წარწერა გვაფრთხილებს: მეცადინეობის დროს გარეშე პირებისათვის შესვლა აკრძალულია. ქარხნის დირექტორი გიორგი ცინცაძე გვატყობს, რომ კართან შეჩერებულნი ამ წარწერას ვკითხულობთ.

— არა უშავს რა, მე დაგარღვევ ცოტა ხნით ამ წესს, — ამბობს იგი და აღებს კარს. უმალ წყვილი თვალი მასწავლებლისა გვაჩერდება და ათობით თვალ მეგრეხებთან მჯდარი ბავშვებისა კარისაკენ ბრუნდება. მაგრამ ჩვენ სწრაფად ვხედავთ კარს, შეწუხებულნი, რომ დისონანსი შევიტანეთ კლასის დაძაბულ მეცადინეობაში. მართლაც არ შეიძლება მყუდროების დარღვევა.

— იქ მეცხრე კლასი მეცადინეობს. თეორიულ კურსს გადის. — გვიხსნის გიორგი — გაკვეთილი მიჰყავს საამქროს ოსტატს ინჟინერ-მექანიკოს თენგიზ ჭირაქაძეს. ხოლო მეორე მეცხრე კლასი, რომელიც წინა გაკვეთილზე თეორიულ კურსს გადიოდა ჭირაქაძესთან, ახლა აი... — და დირექტორი შეგვიძღვა ფართო ნათელ. ტექნიკის ახალი სიტყვის მიხედვით მოწყობილ მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საამქროში, — აი მეცადინეობს აქ, ორ ჯგუფად.

აქ ბავშვებს თითქოს არც კი შეუმჩნევივარ. დაზგებთან გარს შემოხვეულან თავიანთ მასწავლებელ ოსტატებს, თვალებში შესცქერიან და მზერას აყოლებენ მათი ხელების ყოველ მოძრაობას.

— ამ ჯგუფს ოსტატი დუნდუა ამეცადინებს, გაგეგონებათ ალბათ გაზეთებიდან, ხშირად წერდნენ ჩვენზე. ხოლო აი აქეთ, დიდ დაზგასთან, მარჯვნივ — ეს ოსტატი ნიკოლოზ ტაბარიკია.

აქ არიან ქალაქის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის № 1 და № 5 საშუალო სკოლების მოსწავლეები. შესვენების დროს ვესაუბრეთ მათ. დიდი ხალისით და ბეჯითად მეცადინეობენ ამ საამქროში.

ოსტატებიც კმაყოფილი არიან და სკოლის მასწავლებლებიც. ბავშვები საამწყობო-საზეინკლო საქმეს ეუფლებიან. მე-9, მე-10, მე-11 კლასები სამ ჯგუფად მეცადინეობენ

— დაგვისახელეთ საუკეთესო მოსწავლეები, — ვთხოვეთ ოსტატ დუნდუას. იგი გვაწვდის ჟურნალს. ეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის საწარმოო სწავლების აღრიცხვის ჟურნალია. არ დაგვჭირვებია ჟურნალში ბევრი ძებნა, თვით ოსტატი ზეპირად გვისახელებს წარჩინებულ მოსწავლეებს: დიმიტრი შავლაძე, თემურ თავართქილაძე № 1 სკოლის მე-11 კლასიდან, — გვეუბნება ოსტატი. — დღეს მომეცადინე მეცხრეკლასელებს შორის გია გვანცელაძე... აი აგერ, დაზგასთან სულ ბოლოში რომ დგას, რამაზ გეგუჩაძე...

— ეს თქვენთან, პატივცემულო მიხეილ, თქვენს საქმეში წარჩინებულები, — ვაწყვეტინებთ ოსტატს, — მაგრამ სკოლაში?

— სკოლაშიც. არა მყავს ისეთი მოსწავლე, რომელიც ჩემთან, ვთქვათ, მაღალ ნიშანს იღებდეს, ხოლო სკოლაში — დაბალს. აი, მაგალითად, ვინც ჩამოგითვალეთ, აი ესენი, — და ოსტატი შლის ჟურნალს, — ყველანი ხუთოსნები არიან სკოლაში. თქვენ არ იფიქროთ ესენი ასე წყნარნი და თვინიერნი მოვიდნენ თავიდანვე საამქროში! თავართქილაძე რომ დავასახელეთ, თემური, ისეთი ანცი და მოუსვენარი იყო, თვით სკოლაში მომიხდა ამწყობია. მიხ. დუნდუა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი იყო. ბავშვთა შრომითს აღზრდას მთელი მოდნომენტით უძღვება საამქროს მეორე ოსტატი-პედაგოგი ნიკოლოზ ტოპირიკი. იგი საბჭოთა არმიის სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკია.

მოსწავლეებმა კარგად იციან თავიანთ პედაგოგთა სახელოვანი ბიოგრაფია, უყვართ ისინი და ამიტომაც წარმატებას აღწევენ სწავლაში. პროფესიის დაუფლებაში. მოსწავლეები მატერიალურ ღირებულებასაც ქმნიან. აწყობენ ფილებს, მუშაობენ ავტოკალავების საკეტების დამზადება-მორგებაზე, ჩაის საჭკნობი აგრეგატის სიჩქარეთა ყუთის აწყობაზე. ჩვენ მივუსწარით ბავშვების რძის კომბინატის დაკვეთის შესრულების სამუშაოებზე — აკეთებდნენ რძის ტრანსპორტირებისათვის საჭირო სპეციალურ ლითონის კალათებს. 8.000 ცალი ასეთი კალათა უნდა გამოუშვან. ქარხანა ბავშვებს შრომის საზღაურსაც — ათ-ოც მანეთს უხდის თვეში. კარგია წიგნების, რეკულების, საუზმის ფულად...

მოსწავლეები მოვიდნენ ქარხანაში! —ეს საყურადღებო მოვლენად ითვლება აქ. ყველაფერი მათი შრომითი აღზრდისათვის! წელს ხომ პირველად ხდება ამ სკოლების საწარმოო სწავლების მეთერთმეტე კლასების გამოშვება... სკოლასაც და ქარხანასაც ის ინტერესებთ. რომ ამ ახალგაზრდებმა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად ზეინკალ-ამწყობის მოწმობაც დამსახურებულად მიიღონ.

ვ. თორდუა,
რ. გოგრბაძე.
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები.

ქ. ბათუმი.

• • •

სურათზე: ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი საწარმოო სწავლების დღეს ქარხნის საამქროში.

ფოტო ა. ტუღუშისა.

პარტიულ-სახელმწიფოებრივ კონტროლის ორგანოებში

ტვირთი ეკონომიკურ ჯანმრთელობაზე ეკონომიკურ ეფექტიანობაზე

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტთან შეიქმნა და მუშაობს ოპერატიული ჯგუფი იმ საკითხთა კოორდინაციისა და გადაღებული გადაჭრისათვის, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სადგურებსა და საზღვაო ნავსადგურებში სახალხო-სამეურნეო ტვირთების შენახვის გაუმჯობესებასა და გადაზიდვის დაჩქარებასთან.

23 აპრილს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ოპერატიულმა ჯგუფმა ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ერთად მოაწყო სელექტორული თათბირი. თათბირზე მოწვეული იყვნენ „საქსოფლტექნიკის", ვაჭრობის სამინისტროს, ავტოსატრანსპორტო სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც დიდი რაოდენობით გადაეცა ტვირთები რკინიგზით.

დღის სამი საათია. ხაზზეა რკინიგზის/სადგურები სამტრედია, ბათუმი, კვეზანი, ფოთი, სოხუმი, ჭიათურა, ლანჩხუთი, მახარაძე, ბორჯომი, ხაშური, გურჯაანი... თათბირი გახსნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჟამიერაშვილმა. მან ერთხელ კიდევ გაახსენა დამსწრეთ ტვირთების გადაზიდვის დაჩქარებისა და შენახვის გაუმჯობესების უდიდესი მნიშვნელობა. შემდეგ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, სადგურის უფროსები სელექტორით თათბირს რიგრიგობით მოახსენებდნენ ტვირთების გატანისა და მათი შენახვის მდგომარეობას.

გამოირკვა, რომ აპრილის განვლილი ორი დეკადის განმავლობაში მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ორგანიზაციები, რომლებსაც დროზე არ გააქვთ სადგურიდან მათი მისამართით მოსული ტვირთები. მაგალითად, პირველი იანვრიდან სადგურ საკავაზოში აწყვია 160 კუბური მეტრი დახერხილი მასალა, რომელიც ეკუთვნის ქუთაისის სამბითუმო ბაზას, სადგურ სვირში 1962 წლიდან უძრავად აწყვია 300 კუბური მეტრი სამშენებლო ქვა, რომელიც ეკუთვნის ქუთაისის სარაიონთაშორისო კოოპერაციულ ვაჭრობას. სამარცხვინოა, რომ 1962 წლის მეოთხე კვარტალში დასასვენებელი სახლის „გულისტას" მისამართით სადგურ ეშერაში მოვიდა 120 ტონა ნახშირი, რომელიც სადგურში დამიწდა, ჭიათურის სადგურში გასული წლის მეოთხე კვარტალში უძრავად აწყვია ჭიათურის მარგანტრესტის მისამართით მოსული 4.500 კუბური მეტრი გასამგრებელი ხის მასალა. ასეთი ფაქტები სხვაც ბევრია.

თათბირის მუშაობა შეაჯამა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჟამიერაშვილმა. მან დაავალა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებს უახლოეს დღეებში შეისწავლონ ტვირთების მდგომარეობა სადგურებში და მიიღონ ზომები იმათ მიმართ, ვინც შეუწყნარებლად აჭიანურებს ტვირთების გატანას სადგურებიდან.

თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე

ცხინვალი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა საოლქო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, ლექტორ-მომხენებლები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, პრესის, რადიოს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის **ა. თედეევის** მოხსენება „ოლქია პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის ღონისძიებათა შესახებ".

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ჩიაევი.**

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

სოფლის უსაქმურები

კოლმეურნეობის კანტორის ადგილსამყოფელი მიგვასწავლეს, მაგრამ მისვლა არ გინდა! „კოლხოზნიკს" სიარული უჭირს, ტალახით სავსე ორმოებში ეფლობა. ქვეთები წელამდე ტალახში ამოვლებულნი გვხვდებიან. სოფლის თავკაცები კი მაღალი ოჩაფეხებით დადიან, ტალახი ვერ აშინებთ. ამ „გამოგონებამ" დიდად დაუზარალა ხაშმი, მდინარე ოორისაგან უსასყიდლოდ მიტანილი ხრშის გზებზე დაერა ზედმეტად მიიჩნიეს.

ხაშმის ავ-კარგს ვეცნობით. ოცდათოთხმეტი წლის მანძილზე კოლმეურნეობის 46 თავმჯდომარე გამოუცვლიათ. ახლა ორმოცდამეშვიდე მუშაობს. ასე რომ ხაშმში თავმჯდომარეების „მოსავალი" უხვია. **ხუბა მამულაშვილს** ორი წლის წინათ დაეკისრეს სოფლის გაძღოლა. მას ცოდნაცა აქვს და უნარიც, ძალ-ღონეს არ ზოგავს. სოფელს მზრუნველობა დაატყო, მაგრამ იმის გამო, რომ კოლმეურნეობაში ხელი ცოტა მოქმედებს, პირი კი — ბევრი, საქმე კარგად ვერ მიდის, ბურჯაანის საწარმოო სამმართველოში ბოლოდან პირველს არა, მაგრამ მესამე ადგილს მაინც ჯერჯერობით ვერ ასცილდნენ.

კოლმეურნეობაში 558 კომლია გაერთიანებული. მათგან ათიოდე თუ იქნება ისეთი, რომელსაც კარზე ვენახი ან ბაღი არ ჰქონდეს. ზოგიერთს ერთიცა აქვს და მეორეც. დავათვალიერეთ. ხანმუშად არის დამუშავებული. შარშან საკარმიდამო ნაკვეთებიდან 400 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

კარგია, ვამბობთ და კოლმეურნეობის ზურგბისაკენ მივდივართ. ხაშმელი თანამგზავრნი სირცხვილისაგან ყურებამდე წითლდებიან, პირში ენას ვერ აბრ

ᲜᲣ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲔᲕᲗ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲡ ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

20 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲡᲡᲠ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ბრიტანეთის მოსკოველ ელჩს ბ-ნ ტრეველიანს გადაეცა საბჭოთა პროექტი ლაოსის საკითხის მოწესრიგების შესახებ საერთაშორისო თანბირის ორი თავმჯდომარის წერილისა ლაოსის ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობისადმი.

საბჭოთა პროექტში ნათქვამია, რომ საერთაშორისო თანბირის ორი თავმჯდომარე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს პოლიტიკური ტერორის აქტებთან და სამხედრო შეტაკებებთან დაკავშირებით, რაც ამ უკანასკნელ ხანს ხდება ლაოსში, და მიაჩნია, რომ ეს მოვლენები საფრთხეს უქმნიან ლაოსის მშვიდობას და შეიძლება გამოიწვიოს ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა ჩაშლა.

ორი თავმჯდომარე ითვალისწინებს, რომ ლაოსის საშინაო პრობლემები თვითონ ლაოსელებმა უნდა გადაწყვიტონ და რომ ჟენევის შეთანხმებანი და კოალიციური მთავრობის არსებობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიან მთელი ძალების თანამშრომლობას, რომლებიც იბრძვიან მშვიდობიანი, დამოუკიდებელი და ნეიტრალური ლაოსის მშენებლობისათვის. წერილის პროექტში ხაზგასმულია, რომ თავის მხრივ, ჟენევის შეთანხმებათა მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რასაკვირველია, მტკიცედ უნდა შეასრულოს თავიანთი ვალდებულებანი ამ შეთანხმებათა მიხედვით და ამით ხელი შეუწყონ კოალიციურ მთავრობას ამაში, რომ შინაგანი პრობლემები მშვიდობისა და ეროვნული ერთობის სულისკვეთებით გადაიჭრას.

განცხადებებში, რომლებიც მიიღო ორმა თავმჯდომარემ ლაოსის შესახებ ჟენევის თათბირის მონაწილე ზოგიერთი სახელმწიფოსაგან, მოყვანილია ჟენევის შეთანხმებათა დარღვევის ფაქტები. იუწყებიან, კერძოდ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალი მთლიანად არ არის გამოყვანილი ლაოსიდან და რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უწევენ სამხედრო დახმარებას ლაოსის ერთ-ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას. ამ უკანასკნელ ხანს ბევრი სამხრეთვიეტნამელი და ჩანკაიშელი ოფიცერი შევიდა სურების ხეობაში და ლაოსის სხვა პუნქტებში. ამერიკის სამხედრო მოსამსახურეები კვლავ ტაილანდში იმყოფებიან, რაც აძლიერებს დაძაბულობას და საფრთხეს უქმნის ლაოსის უშიშროებას. აღნშნულ განცხადებებში პასუხისმგებლობა ლაოსში შექმნილი დაძაბული მდგომარეობისათვის ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები.

ორი თავმჯდომარე მოუწოდებს ლაოსის სამი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს, რომლებიც კოალიციურ მთავრობაში შედიან, მოლაპარაკების გზით, საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიასთან თანამშრომლობით მშვიდობიანად მოაწესრიგონ შექმნილი საშიში მდგომარეობა.

ინგლისელი თანათავმჯდომარისაგან მიღებულ პასუხში ნათქვამია, რომ ინგლისის მხარე მოითხოვს გამოირიცხოს საბჭოთა პროექტიდან ის, რომ პასუხისმგებლობა დაძაბული მდგომარეობის შექმნისათვის ლაოსში ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ლაოსის იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები.

საბჭოთა მხარეს არ მიაჩნია შესაძლებლად დაეთანხმოს ინგლისელი თანათავმჯდომარის ამ წინადადებას. მხარეებს შორის საბჭოთა პროექტის სხვა დებულებათა შესახებ მიღწეულია თანხმობა. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ წარმატებით გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა სავაჭრო დელეგაციების მოლაპარაკება ორივე მხარეს შორის საქონელბრუნვის შესახებ 1963 წელს.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, შეთანხმეს საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობა და 20 აპრილს ხელი მოაწერეს ოქმს საქონელბრუნვის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1963 წლისათვის.

საქონელბრუნვის შეთანხმებული მოცულობა შეიცავს მრავალ საბჭოურ და ჩინურ საქონელს, რომელსაც ეს ქვეყნები ერთმანეთს მიაწვდიან მათი სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 1963 წელს მიაწვდის შავ და ფერად ლითონებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებსა და მათს სათადარიგო ნაწილებს, ნავთობპროდუქტებს, ნამორს, ქიმიური მრეწველობის პროდუქტებს, სარეცხ საპონს, ხელსაწყოებს, სხვადასხვა მანქანებსა და მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებსა და სხვა საქონელს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს 1963 წელს მიაწვდის ფერადი ლითონების კონცენტრატებს, კალას, ვერცხლის წყალს, თუჯს, ქიმიურ საქონელს, ცხვრის მატყლს, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, შეკერილ, ტრიკოტაჟისა და შინამრეწველურ-მხატვრულ ნაწარმს, ვაშლს, ციტრუსებსა და სხვა საქონელს.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ საქონლის ურთიერთმიწოდების შეთანხმებული მოცულობა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობასა და ორი ქვეყნის ხალხების დიადი მეგობრობის განვითარებას.

ხელი მოაწერეს აგრეთვე 1961 წლის აპრილის შეთანხმების ოქმს, იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განვადებით გადაუხდის სსრ კავშირს 1960 წლის სეპტემბრამდე ფერადი ლითონების ფასებში. ოქმში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სურვილისამებრ გათვალისწინებულია, რომ ჩინეთი, აღნიშნული შეთანხმების თანახმად 1965 წელს გადასახდელი დავალიანების ნაწილს ვადამდე დაფარავს სალდოთი, რაც წარმოიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ 1962 წლის საგაჭრო ოპერაციების შედეგად.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲙᲣᲑᲐ. ჰავანის დასავლეთით პინარ-დელ-რიოს პროვინციაში შენდება მარიელის თბოელექტროსადგური, რომელიც ყველაზე დიდი იქნება რესპუბლიკაში. სადგური ელექტროენერგიას მიაწვდის დედაქალაქს, ორი პროვინციის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

ლენინგრადელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს სადგურის პროექტი. საბჭოთა კავშირიდან მოდის მოწყობილობა მშენებლობისა და თვით სადგურისათვის. მომავალ წელს თბოელექტროსადგური დენს გამოიმუშავებს.

სურათზე: მარიელის თბოელექტროსადგურის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო მ. ბუზიევსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲞᲖᲙᲘᲪᲔᲓ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲤᲘᲪᲘ!

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო გვატყობინებს:

ხვალ 18 წელიწადი სრულდება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარების ელბაზე ისტორიული შეხვედრის დღიდან. ეს შეხვედრა დაუვიწყარია მეორე მსოფლიო ომის ამერიკელი ვეტერანებისათვის, განუცხადა გუშინ კორესპონდენტებს ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯოზეფ პოლოვსკიმ.

იმ დღეებში, იხსენებს პოლოვსკი, მე ამერიკის შეიარაღებული ძალების მე-12 საარმიო ჯგუფის პირველი არმიის 273-ე ქვეითი პოლკის რიგითი მებრძოლი ვიყავი. ჩვენი ასეულის მზვერავი პატრული, რომლის შემადგენლობაში მეც გახლდით, პირველი შეხვდა საბჭოთა ჯარებს ელბაზე ქალაქ ტორგაუს მახლობლად. ჩვენ ვიყავით პირველი ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებმაც ხელი ჩამოვართვით საბჭოთა მეომრებს. ძნელია გადმოვთქვათ ის დიდი სიხარული, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, როცა საბჭოთა ჯარებს შევხვდით. ჩვენ ვიცოდით — ეს ნიშნავდა, რომ ბოლო მოეღო ომს, ბოლო მოეღო ფაშიზმს.

ჯოზეფ პოლოვსკი კორესპონდენტებს უჩვენებს ძველი გაზეთების ნომრებს. ამ გაზეთებში გამოქვეყნებულია ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია საბჭოთა და ამერიკელ ჯარისკაცთა შეხვედრა.

ძნელად თუ იცნობთ, რომ ამერიკის ეს მომღიმარე რიგითი მებრძოლი, რომელსაც ფოტოსურათზე ხედავთ, ახლანდელი პოლოვსკია — სამი შვილის მამა, სადაზღვევო კომპანიის „ნიუ-იორკ ლაიფ ინშურენსის“ პატარა მოსამსახურე.

ჩემთვის ეს დღეები, ამბობს პოლოვსკი, ჯერ ისტორიად არ გადაქცეულა. ეს დღეები კარგად მახსოვს ისევე როგორც ფიცი, რომელიც საბჭოთა მეომრებთან ერთად დავდეთ: ყველაფერი ვიღონთო, რომ ხელი შეეშალოს ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში კეთილი ნების შენარჩუნებას, მსოფლიოში სამართლიანი მშვიდობის დამყარებას.

პოლოვსკიმ გვაცნობა, რომ ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს შექმნან ახალი ორგანიზაცია: „ამერიკელთა მოძრაობა ელბაზე შეხვედრის დღისა და სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევის დღის ყოველწლიურად აღნიშვნისათვის“ პირველი კონფერენცია გაიმართება 25 აპრილს ვაშინგტონში.

შემთხვევითი როდია, რომ ეს ორი თარიღი ერთმანეთს ემთხვევა, თქვა პოლოვსკიმ. დაე 25 აპრილის დღეს ჩვენმა ხალხებმა გაიხსენონ ხოლმე თანამშრომლობისა და მეგობრობის ის სულისკვეთება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროსა და მისი დამთავრების შემდეგ სუფევდა მათ შორის. ეს გვჭირდება ჩვენ და ჩვენს შვილებს. დაე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა ხელმძღვანელებმა კეთილი ნების წერილები გაუგზავნონ ამ დღეს ერთმანეთს ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ, იმათ სახსოვრად, ვინც თავისი ზურგით ზიდა ომის მთელი სიმძიმე და იმათ სახსოვრად, ვინც დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან, საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

ფართოდ რომ აღვნიშნავთ ელბაზე შეხვედრის დღესა და გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევის დღეს მოსკოვში, ვაშინგტონში, სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკსა და ტორგაუში, ჩვენ მოვაგონებდით ყველას თუ რა დიდი როლი შეასრულეს მოკავშირეებმა — სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფაშიზმის წინააღმდეგ სამართლიანი ომის ძლევამოსილად დაგვირგვინებაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის საქმეში.

დაე 25 აპრილი იყოს დღე, როცა ჩვენ კეთილი ნების გრძნობით გავიხსენებთ წარსულს, დაე ამ დღეს იმედით შევყურებდეთ მომავალს.

ჯოზეფ პოლოვსკიმ გვაცნობა, რომ ორგანიზაციის „ამერიკელთა მოძრაობა ელბაზე შეხვედრის დღისა და სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევის დღის ყოველწლიურად აღნიშვნისათვის“ პირველი კონფერენცია გაიმართება 25 აპრილს ვაშინგტონში.

ᲛᲘᲐᲚᲔᲑᲘᲜᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭომ, რომლის სხდომა ვაშინგტონში გაიმართა, დაამტკიცა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის უშიშროების სპეციალური კომისიის შექმნა. ამ კომისიის მიზანია გაშალოს „ანტიკომუნისტური კამპანია ლათინურ ამერიკაში“. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს ბევრი წევრის საწინააღმდეგო აზრის მიუხედავად, იქ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომელთა მთავრობები საშინლად არიან დაშინებული რევოლუციური კუბის მზარდი გავლენით, შეძლეს გაეყვანათ ეს გადაწყვეტილება. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერმეიშნლის სააგენტო იუწყება, ამ წინადადებას ხმა მისცა საბჭოს 12 წევრმა ოცდან.

ᲛᲔᲠᲩᲔᲜᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტ კენედის სპეციალური წარმომადგენელი ლ. მერჩენტი, რომელიც თურქეთის დედაქალაქში იმყოფება, შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ ი. ინენიუს და საგარეო საქმეთა მინისტრ ფ. ერკინს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, მათი საუბრების თემა უმთავრესად იყო ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საკითხი.

ცოტა უფრო ადრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი შეხვდა თურქეთის თავდაცვის მინისტრ ი. სანჯარს.

ᲐᲡᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ავერელ ჰარიმანი, რომელიც გუშინ ჩამოვიდა ლონდონს, შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ ჰიუმს. როგორც აქ აღნიშნავენ, ჰარიმანმა და ლორდმა ჰიუმმა განიხილეს ლაოსის მდგომარეობა.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე შეხვდა ინგლისის ერებისა და კოლონიების თანამეგობრობის საქმეთა მინისტრ დანკენ სენდლის, გამოქვეყნდა მოკლე ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჰარიმანსა და სენდლის „კონსულტაცია ჰქონდათ პრობლემებზე, რომლებიც ინდოეთსა და პაკისტანს ეხება“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 23 აპრილი. (საკდესი). ამერიკის მე-7 ფლოტის თითქმის ყველა ხომალდმა დატოვა იოკოსუკუ და სასებო — ამერიკის ორი მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა იაპონიაში.

როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა არაოფიციალურად განაცხადეს, რომ ამერიკის ხომალდებმა მიიღეს ბრძანება გაემართონ სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲡ

ᲙᲔᲙᲘᲜᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობების მიხედვით, მორიგი შეტევის მსვლელობაში სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანებმა მოსპეს მთავრობის სამხედრო ავანპოსტი, 170 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-დასავლეთით.

ᲡᲢᲘᲙᲔᲠᲘ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲞᲣᲚᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს საბჭოს მომავალ სესიაზე, რომელიც ოტავაში გაიმართება, ჩვენ შეგძლებთ გადავჭრათ „სამოკავშირეო ატომური ძალების“ შექმნის საკითხი, კვეხნით განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტიკერმა სადილზე საფრანგეთის პრესის დიპლომატიურ მომომხილველთა ასოციაციაში.

სტიკერმა იმედი გამოთქვა, რომ „ყველა ქვეყანა“ (მაშასადამე, დასავლეთი გერმანიაც; სადაც რევანშისტები ისწრაფვიან ხელი ეგდოთ ატომური იარაღი — კორ. შენიშვნა). მონაწილეობას მიიღებს ამ აგრესიული პაქტის ატომური ძალების შექმნაში. ამასთან მან გადაკვრით განაცხადა, რომ საფრანგეთმა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ზოგიერთი წინააღმდეგობა აქვს თავის ნატოელ პარტნიორებთან ამ საკითხში, „მონაწილეობა უნდა მიიღოს“ ატომურ შეიარაღებათა „პულში“, რომელიც მზადდება.

სტიკერმა მსმენელთა წინაშე ქება შეასხა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმებას, რომელიც, მისი სიტყვით, „დადებითი ელემენტია ევროპის მშენებლობაში“. ამ საშიში გარიგების გასამართლებლად ნატოს გენერალურმა მდივანმა გამოიყენა უკვე დიდი ხანია ყველასათვის მოსაბეზრებელი მონაჭორი „კომუნისტური შეტევის“ შესახებ. მაგრამ საჭიროდ დასძინა, რომ ბონისა და პარიზის ეს ალიანსი „უაღრესად ნაყოფიერი“ იქნება მხოლოდ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ფარგლებში. სტიკერის ამ სიტყვებში, აქაური პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, გამოსჭვივის ნატოს ამერიკელ პატრონთა შეშფოთება იმის გამო, რომ „პარიზ-ბონის ღერძი“ ერთგვარად არ დაუპირისპირდეს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენას დასავლეთის ბლოკში.

ᲡᲐᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს საბჭოს მომავალ სესიაზე, რომელიც ოტავაში გაიმართება, ჩვენ შეგძლებთ გადავჭრათ „სამოკავშირეო ატომური ძალების“ შექმნის საკითხი, კვეხნით განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტიკერმა სადილზე საფრანგეთის პრესის დიპლომატიურ მომომხილველთა ასოციაციაში.

სტიკერმა იმედი გამოთქვა, რომ „ყველა ქვეყანა“ (მაშასადამე, დასავლეთი გერმანიაც; სადაც რევანშისტები ისწრაფვიან ხელი ეგდოთ ატომური იარაღი — კორ. შენიშვნა). მონაწილეობას მიიღებს ამ აგრესიული პაქტის ატომური ძალების შექმნაში. ამასთან მან გადაკვრით განაცხადა, რომ საფრანგეთმა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ზოგიერთი წინააღმდეგობა აქვს თავის ნატოელ პარტნიორებთან ამ საკითხში, „მონაწილეობა უნდა მიიღოს“ ატომურ შეიარაღებათა „პულში“, რომელიც მზადდება.

სტიკერმა მსმენელთა წინაშე ქება შეასხა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმებას, რომელიც, მისი სიტყვით, „დადებითი ელემენტია ევროპის მშენებლობაში“. ამ საშიში გარიგების გასამართლებლად ნატოს გენერალურმა მდივანმა გამოიყენა უკვე დიდი ხანია ყველასათვის მოსაბეზრებელი მონაჭორი „კომუნისტური შეტევის“

ᲠᲔᲙᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲙᲐᲠᲐᲩᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). ვენესუელის სასამართლო ორგანოები აპირებენ სასარჯამენტო ხელშეუხებლობა ჩამოართვან ვენესუელის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, სენატორებს ხესუს ფარიას, პომპეიო მარკესს, დეპუტატებს გუსტავო მაჩადოს, ედუარდო მაჩადოს, პედრო ორტეგ დიასს, გილიერმო გარსია პონსეკა, აგრეთვე „მემარცხენეთა რევოლუციური მოძრაობის“ პარტიის გენერალურ მდივანს დომინგო ალბერტო რანხელს. უმაღლეს სასამართლოში მზადდება შესაბამისი დადგენილება.

გაცემულია აგრეთვე განკარგულება კომუნისტური პარტიის ზოგიერთი თვალსაჩინო მოღვაწის დაპატიმრების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ „მთავრობის საწინააღმდეგო ‘აკმნობა“.

რეპრესიები კომუნისტთა წინააღმდეგ ვენესუელის პროგრესული საზოგადოებრიობის ენერგიულ პროტესტს იწვევს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგაჭრო დელეგაციის ლი ციანლის მეთაურობით კვლავ ეცნობა მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს.

დღეს ჩინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მუზეუმი — პანორამა „ბოროდინოს ბრძოლა“. საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში მათ შემდეგი ჩანაწერი დატოვეს: „აღტაცებული ვართ ხელოვნების ამ ნაწარმოებითა და რუს მეომართა გმირობით, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს“.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 აპრილი. (საკდესი). მოსკოვის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა დღეს გამოხატეს თავიანთი მხურვალე მხარდაჭერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებებისადმი იმის შესახებ, რომ მოიწვიოს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის მოქმედების საგაზაფხულო კამპანია.

კრება, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა, გახსნა მოსკოვის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. ვერნოვმა. მან განაცხადა, რომ მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აქტიურად მონაწილეობენ მოქმედების საგაზაფხულო კამპანიის მოწყობაში.

აკადემიკოსმა ე. ფედოროვმა, საბჭოთა ქალების კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. პოპოვამ, სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. მაშინმა, ულანოვის რაიონის 464-ე სკოლის მასწავლებელმა ლ. რუდაკოვამ, ქარხანა „დინამოს“ ზეინკალმა ს. ბელოვმა მოიწოდეს შეკრებილთ — აქტიურად დაუჭირონ მხარი მოქმედების საგაზაფხულო კამპანიას.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად იზიარებენ კეთილშობილურ იდეებს, რაც გამოთქმულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაში და მხურვალედ იწონებენ მის მოწოდებას — ყველა ქვეყანაში მოიწიოს მოქმედების ფართო საგაზაფხულო კამპანია.

კრებამ დაადასტურა მოსკოვის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწოდებით მიმართოს იმ დედაქალაქთა მცხოვრებლებს, რომლებსაც მოსკოვი მეგობრობს — გააერთიანონ ღონისძიებანი მშვიდობისათვის ხალხთა დიად ბრძოლაში.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ

მოსკოვი, 23 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგაჭრო დელეგაცია საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ლი ციანლის მეთაურობით კვლავ ეცნობა მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს.

დღეს ჩინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მუზეუმი — პანორამა „ბოროდინოს ბრძოლა“. საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში მათ შემდეგი ჩანაწერი დატოვეს: „აღტაცებული ვართ ხელოვნების ამ ნაწარმოებითა და რუს მეომართა გმირობით, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს“.

ᲔᲠᲕᲐᲠᲓᲘ — ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 23 აპრილი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციამ ბონში გამართულ დღეგანდელ სხდომაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი და მეურნეობის მინისტრი ლუდვიგ ერჰარდი დანიშნა ადენაუერის მემკვიდრედ კანცლერის პოსტზე. ამით ფრაქციამ დამტკიცა თავისი გადგომობის რეკომენდაცია ადენაუერის მემკვიდრის დანიშვნის შესახებ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის 225 წევრიდან ერჰარდის კანდიდატურას ხმა მისცა 159 წევრმა, წინააღმდეგ — 47-მა. 19 კაცმა თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის გადაწყვეტილება მოწმობს კანცლერ ადენაუერის ახალ დამარცხებას. მთელი მისი მეცადინეობა უკანასკნელ ხანს იმას ხმარდებოდა, რომ არ დაეშვა ერჰარდის დანიშვნა. თავის მემკვიდრედ ფრაქციის დღეგანდელ სხდომაზე ადენაუერი კვლავ გამოვიდა ერჰარდის კანდიდატურის წინააღმდეგ, მაგრამ ფრაქციის წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა კანცლერის საწინააღმდეგოდ.

ᲡᲘᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც მენია საგენტო იუწყება, სირიის „რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ“ დაამტკიცა შეთანხმება ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ამთავრებს სენეგალის რესპუბლიკის პროტესტის განხილვას იმის წინააღმდეგ, რომ პორტუგალიამ დაარღვია სენეგალის საზღვრები და საჰაერო სივრცე. პროტესტის საფუძველი გახდა აგრესიული აქტი პორტუგალიისა, რომლის სამხედრო თვითმფრინავებმა 9 აპრილს დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს სენეგალის დასახლებულ პუნქტს ბუნიაკს.

უშიშროების საბჭოს 23 აპრილის სხდომაზე გამოვიდნენ სენეგალის, მაროკოს, განისა და საფრანგეთის წარმომადგენლები.

საფრანგეთის წარმომადგენელმა დაიცვა პორტუგალიის პოლიტიკა აფრიკაში. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა უშიშროების საბჭოს წევრები, თითქოს დასახლებული პუნქტის ბუნიაკი დაბომბვა და მისთვის ცეცხლის დაშენა მხოლოდ და მხოლოდ „ტერორისტიანი“, რომელიც საფრთხეს არ უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.

საფრანგეთის წარმომადგენელმა საერთოდ არ გაიღაშქრა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც განისა და მაროკოს სახელით შემოიტანეს.

რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, კერძოდ, რომ უშიშროების საბჭომ დაგმოს პორტუგალიის შეჭრა სენეგალის ტერიტორიაზე, და მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მუდამ ადევნოს თვალყური მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

მაროკოს დელეგატმა აამედ თაიბი ბენხიმამ მოუწოდა უშიშროების საბჭოს გაითვალისწინოს, რომ პორტუგალიის აქციები სენეგალის წინააღმდეგ შემთხვევითი „იზოლირებები“ კი არ არის, არამედ პორტუგალიის კოლონიალიზმის აგრესიული აქტებია.

სენეგალის წარმომადგენელმა უსმან სოსე დიოპმა განაცხადა, რომ იგი არ არის წინააღმდეგი რეზოლუციის პროექტისა, რომელიც მაროკომ და განამ წარმოადგინეს. მაგრამ, თქვა მან, ეწუხვარ, რომ ეს პროექტი არ არის საკმაოდ გადამწყვეტი, როგორიც უნდა იყოს პორტუგალიის აგრესიულ მოქმედებათა გამო.

კენჭისყრა რეზოლუციის პროექტის გამო უნდა გაიმართოს უშიშროების საბჭოს 24 აპრილის სხდომაზე.

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ

... და ხელოვნება

ახალი წიგნები

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ექვსტომეული

პოეტის პირველი ლექსი ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაიბეჭდა. დიდმა ვაჟამ გულით დალოცა ყრმა მგოსანი და სახელიანი პოეტური მომავალი უწინასწარმეტყველა.

და აი ის მომავალიც აწმყოდ ქცეულა... ჩვენი დღეები თითქოს წარმოუდგენელიც კია უიმლექსებოდ, რომლებსაც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე გიორგი ლეონიძე ქმნიდა.

საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის პოეზია თვით ჩვენი ცხოვრების პოეზიაა, საბჭოთა საქართველოს ყოველდღიური წინსვლით ფრთაშესხმული. პოეტი თავისი მაღალსტატიური ლექსით ყოველთვის ახალი ქვეყნის მშენებელთა მწყობრში იდგა, სამშობლოსთან ერთად „ერთი სუნთქვით სუნთქავდა“ და „გულში აპრილის თეთრი ტოტები ენთო“.

„დავხარჯე გულის ზოდები,
ვწვი ოცნებათა ზვინები...
ლექსო მიდექ და მოდექი
სამშობლის შეეძინები!“.

აი ამ ლექსით იხსნება გიორგი ლეონიძის ექვსტომეულის პირველი ტომი, რომელიც ახლახან გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

ექვსტომეულის პირველ ორ ტომში დაბეჭდილია პოეტის ლექსები და პოემები. მესამე და მეოთხე ტომში წარმოდგენილი იქნება პროზაული ნაწარმოებები; მომდევნო ორი ტომი დაეთმობა გამოკვლევებს, წერილებსა და მოგონებებს.

საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის თხზულებათა პირველ ტომს (რომელშიც დაბეჭდილია სხვადასხვა დროს შექმნილი სამასამდე ნაწარმოები) წამძღვარებული აქვს კრიტიკოს გიორგი მარგველაშვილის ვრცელი შესავალი წერილი. ტომის რედაქტორია ვახტანგ ჯავახაძე. მხატვრობა ეკუთვნის გ. ოჩიაურს. წიგნის ტირაჟია 7.000, ფასი 1 მან. 5 კაპ.

„აგესალომ და ეთერი“ ინგლისურ ენაზე

გაზეთმა „მოსკოუ ნიუსმა“, რომელიც მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამოდის, რამდენიმე ნომერში დაბეჭდა ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრის „აბესალომ და ეთერის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც მდიდრულად არის ილუსტრირებული.

„ეს ძველი ქართული ხალხური ზღაპარი, რომელმაც სახელოვან ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს შთააგონა შეექმნა ამავე სახელწოდების ოპერა, — წერს გაზეთი „მოსკოუ ნიუსი“, — უდავოდ მიიქცევს „მოსკოუ ნიუსის“ საბჭოთა და უცხოელი მკითხველის ყურადღებას“.

ზღაპრის ინგლისური ტექსტს წინ უძღვის სარედაქციო შესავალი წერილი, რომელიც მკითხველს აცნობს ზ. ფალიაშვილს და მის ქვეყანას.

ტექსტის ინგლისური თარგმანი შესრულებულია გამართული ინგლისური ენით და ამასთანავე არ სცილდება ორიგინალს. ტექსტში აბესალომისა და ეთერის დიალოგები გაკეთებულია ლექსად, ისევე როგორც ორიგინალში. ლექსი ინარჩუნებს ეროვნულ ჟღერადობას და რიტმს.

რუსი მხატვრის ი. გოროხოვის მიერ ლამაზად შესრულებულ ილუსტრაციებში ზომიერად გამოყენებულია ქართული ორნამენტი.

ლ. ჯოხაძე.

უკრაინის განათლების მუშაკების ზუგდიდში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს უკრაინის სსრ სუფის ოლქის რომნის (ყოფილი ტალალაევკის) რაიონისა და ზუგდიდის მშრომელთა მეგობრობას.

რომნის რაიონის სახალხო განათლების მუშაკებმა გადაწყვიტეს გაეცნონ ზუგდიდის რაიონის განათლების მუშაკთა საქმიანობას.

უკრაინელები იყვნენ ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის პირველ საშუალო სკოლასა და ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში.

დელეგაცია რამდენიმე დღეს დარჩება.

ფესტივალი დიდი დღესასწაული იქნება

მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია

მოსკოვი, 23 აპრილი. (საკადესი). მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის კინემატოგრაფისტებმა უკვე გვაცნობეს, რომ სურთ მონაწილეობა მიიღონ მესამე საერთაშორისო კინოფესტივალში, რომელიც გაიმართება მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში 7-21 ივლისს. ეს განაცხადა დღეს ფესტივალის გენერალურმა დირექტორმა ვ. ე. ბასკაკოვმა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტების პრეს-კონფერენციაზე. ფესტივალის მონაწილე ქვეყნებს შორის მან დასახელა იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ნორვეგია, შვეიცია, დანია, ფინეთი, კუბა, მექსიკა, კოლუმბია, ბრაზილია, ტანგანიკა, მალი და სხვა ქვეყნები.

მსოფლიოს კინოფორუმთა შორის ყველაზე ახალგაზრდა კინოფორუმის იდეას განსაზღვრავს დევიზი „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის“, — დევიზი, რომლიც-ც მიმდინარეობდა ორი წინა საერთაშორისო კინოკონკურსი მოსკოვში, რომლებმაც ფართო პოპულარობა მოუპოვეს მოსკოვის კინოფეს ტივალს.

ვინ შეაფასებს ოტტატთა შემოქმედებას? მხატვრული ფილმების ჟიურის შემადგენლობაში იქნებიან გრიგოლ ჩუხრაი (სსრ კავშირი), იან რიბკოვსკი (პოლონეთი), სტენლი კრამერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ემილ პეტროვი (ბულგარეთი), კიეხიკო უსიხარა (იაპონია), იან პოროხაკა (ჩეხოსლოვაკია) და სხვ. მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის არბიტრებად ყოფნის თანხმობა განაცხადეს ცნობილმა რეჟისორებმა იორის ივენსმა (ნიდერლანდი), იონ პოპესკუ გოპომ (რუმინეთი), ანდრე ტორნდაიკმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ამბ. ბასკაკოვმა უპასუხა კორესპონდენტთა შეკითხვებზე და დასახელა რამდენიმე საბჭოთა ფილმი, რომლებიც ფესტივალის კონკურსში მონაწილეობის პრეტენდენტებია. ფილმებს შორის არის „შესვლა“ და „ოპტიმისტური ტრაგედია“ („მოსფილმი“). „ცარიელი რეისი“ და „გაიცანით, ბალუევია!“ („ლენფილმი“). „ნაბიჯები ღამეში“ (ლიტვის კინოსტუდია).

რაც შეეხება ფესტივალის ჯილდოებს, გარდა მთავარი პრემიისა — დიდი პრიზისა მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის, დაწესებულია კიდევ სამი ოქროს და ცხრა ვერცხლის პრიზი. მოკლემეტრაჟიანი სურათების კონკურსის გამარჯვებულნი მიიღებენ ოქროს პრიზს და სამ ვერცხლის პრიზს.

იმედი გვაქვს. თქვა ვ. ე. ბასკაკოვმა, რომ მომავალი ფესტივალი იქნება დიდი სასხარულო დღესასწაული და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კინოხელოვნების კეთილშობილური ამოცანების გადაჭრაში. იგი იქნება მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი საშუალება. ფესტივალი ხელს შეუწყობს კინოს შემოქმედებითი ძალების გაერთიანებას.

უკრავს იოჰანესენი

ამერიკელი პიანისტის კონცერტებზე

ინტერესი ამერიკელი პიანისტის სამემსრულებლო ხელოვნებისადმი იგრძნობოდა დიდი ხნით ადრე მის სცენაზე გამოჩენამდე. ეს ბუნებრივია. უკანასკნელ წლებში ამ ქვეყნის მრავალ შესანიშნავ მუსიკოსს მოვუსმინეთ.

გრენტ იოჰანესენი მთლიანად მუსიკით სუნთქავს. მას საოცარი შინაგანი მოთხოვნილება აქვს — დაუკრას ბეეთრი, რაც შეიძლება მეტი თვითეული კონცერტის შემდეგ. მიუხედავად დიდი და რთული პროგრამისა, იგი კიდევ და კიდევ მიუჯდებოდა როიალს, უკრავდა უხვად, რათა მეტი სიამოვნება მიენიჭებინა მსმენელისათვის. როცა კონცერტიდან გამოვდიოდით, ვიღაცამ გონებამახვილურად შენიშნა: „ბისზე“ იმდენი დაუკრა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა კონცერტის მესამე განყოფილება გამოეცხადებინათ“.

იოჰანესენის ხელოვნება, შესაძლოა, ყველას ერთნაირად არ მოეწონოს, ზოგი ნაწარმოების მუსიკალური ინტერპრეტაცია აშკარად სადავოც არის. მაგრამ გულგრილს იგი დარბაზში არავის ტოვებს.

ფოჰანესენი მაღალი კლასის პიანისტია. იგი ბუნებას დიდი მუსიკალური ნიჭით, ბრწყინვალე ტექნიკური აპარატით, ფაქიზი სმენით და განსაკუთრებული მეხსიერებით დაუჯილდოებია. მისი რეპერტუარი ფართო და საინტერესოა; იგი მრავალ იშვიათ ნაწარმოებს უკრავს. სენ-სანსის მეოთხე კონცერტი, ფორეს „თემა ვარიაციებით“, რაველის „ღამის მოჩვენებანი“, ტომსონი, პულენკი, გერშვინი. მისი ტექნიკა უზადოა, რბილი, ნაზი, თითქოს მოალერსე „პიანო“ კი შესრულებს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს. იგი ოდნავ, ნაზად ეხება კლავიატურას, მაგრამ მისი ჰაეროვანი სახეები სავსებით ხილული და მიწიერია.

პიანისტი შეუდარებელია თავის „ამპლუაში“. მშვენიერი იყო გრიგის კონცერტის მეორე ნაწილი, ბახის პრელუდია და ფუგა, ფორეს „თემა ვარიაციებით“. იოჰანესენისათვის განსაკუთრებით მახლობელი უნდა იყოს იმპრესიონისტების სტილი. მართლაც, რაველის „ღამის მოჩვენებანი“ ფაქიზი გემოვნებით და პასტელური ნაირფეროვნებით დაუკრა.

და მაინც ძნელია დავაყენოთ იოჰანესენი მსოფლიოს საუკეთესო პიანისტების გვერდით. უნებლიეთ გვაგონდება მისი თანამემამულე ამერიკელი პიანისტი ბაირონ ჯანისი, რომლის კონცერტებმა თბილისში ჭეშმარიტად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

იოჰანესენი ძალზე თავშეკავებული, აკადემიური. ფართო გაქანება, დიდი აზოვნება აკლია. გრიგის კონცერტში, თავისთავად თვითეული ნაწილი ბრწყინვალედ ჟღერდა. მთლიანად კი ერთიანი სუნთქვა, რომანტიკული ალმაფრენა აკლდა. სენ-სანსის მეოთხე კონცერტში (რომელიც, აქვე უნდა ვთქვათ, ნაკლებად საინტერესო ნაწარმოებია) ეს იშვიათად არ იგრძნობოდა, გრიგის კონცერტი კი პოეტურობისა და მრავალფეროვან ემოციათა განსახიერებაა!

მეტად თავისებურად უკრავს იოჰანესენი ბეთჰოვენს. ის საშემსრულებლო მანერა, რომლითაც მან ამ კომპოზიტორის ნაწარმოებები დაუკრა, უფრო შესაბამისია ჰაიდნისათვის ან ადრინდელი მოცარტისათვის, ვიდრე ბეთჰოვენისათვის, რომლის მუსიკა აღსავსეა ბობოქარი სულით, მიზანსწრაფვით, დინამიკური კონტრასტებით.

მ. ფიჩხაძე.

* * *

სურათზე: გ. იოჰანესენი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

მედიკთა საერთაშორისო ფორუმი

სოხუმი, 24 აპრილი. (საკადესი). აფხაზეთში სამ დღეს მუშაობდა ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მოძრავი სემინარი სსრ კავშირში საშუალო სამედიცინო კადრების მომზადებისა და გამოყენების საკითხებზე. სემინარში მონაწილეობა მიიღეს ოთხი კონტინენტის — აფრიკის, აზიის, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ოცი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

სემინარის მონაწილენი იყვნენ გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიპშის“ სოფლის საავადმყოფოში, ეწვივნენ რესპუბლიკაში უძველეს სოხუმის სამედიცინო სასწავლებელს.

მოძრავი სემინარი მუშაობას განაგრძობს ქალაქ-კურორტ გაგრის ჯანმრთელობის კერებსა და ქალაქის საავადმყოფოში.

კემპგელ კრეიტონი საქართველოში

საქართველოს საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ბრიტანეთის სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გენერალურ მდივანს ბ-ნ კემპბელ კრეიტონს მეუღლითურთ. იგი გაეცნო რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, მის უმაღლეს სასწავლებლებს.

ბ-ნი კემპბელ კრეიტონი მეუღლითურთ სტუმრად იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. კონსერვატორიაში მათ გააცნეს ქართული ხალხური სიმღერები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ჩვენს სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზაზე მგზავრობამ, მცხეთის ისტორიული ძეგლების გაცნობამ.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა თბილისელ ლიტერატორთა და ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრა კემპბელ კრეიტონთან.

24 აპრილს ბრიტანეთის სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებს გენერალური მდივანი ბ-ნი კრეიტონი მეუღლითურთ ლენინგრადს გაფრინდა. (საქდესი).

ამ დღეებში სოხუმში თბომავალმა „ფრიც პეკერმა“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოიყვანა პირველი ტურისტები. 330 ტურისტს შორის არიან მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები.

სტუმრებმა დაათვალიერეს სოხუმის ღირსშესანიშნავი ადგილები, იმოგზაურეს ახალ ათონში, ნახეს კინოფილმები, დაესწრნენ კონცერტს.

წელს აფხაზეთში 20 ათასამდე უცხოელი ტურისტი ჩამოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ინგლისიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

* * *

სურათზე: ტურისტთა ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სოხუმის მთაზე

ფოტო ი. ჯოხონელიძისა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

„ასტალამ“ დამსვენებლები ეიღლო

ქალაქ გურჯაანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სამკურნალო ადგილი ასტალა. აქ ყოველწლიურად რამდენიმე ასალი კეთდება. წელს სანატორიუმს 15 საწოლი შეემატება, მოეწყო ცენტრალური გათბობა, მექანიზებულ იქნა კვების ბლოკი, ფიზიოთერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტები ახალი აპარატურით შეივსო და სხვ.

შარშან ასტალის სანატორიუმებში ცხრაასმა ავადმყოფმა იმკურნალა, წელს კი მათი რიცხვი 1.035-ზე მეტს მიაღწევს. გარდა ამისა, ამბულატორიულ მკურნალობას გაიარეს 1.800-მდე ავადმყოფი.

ასტალაზე შარშან გაიხსნა ბავშვთა სანატორიუმი „ოქროს ვვლი“, სადაც პოლიომიელიტის ნარჩენებით დაავადებული ბავშვები მკურნალობენ. წელს აქ ასობით ბავშვი დაიბრუნებს ჯანმრთელობას.

თ. ღვინიაშვილი.

„ინგლისურ ენაზე“

... ეროვნული ბიბლიოთეკა

... ეროვნული ბიბლიოთეკა

... ეროვნული ბიბლიოთეკა